ხელშეკრულება 202/23

ქ. თბილისი "21" დეკემბერი 2011 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2011 წლის 21 დეკემბერს ქ. თბილისში ერთის მხრივ სსიპ თბილისის № 202 საჯარო სკოლას (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ ი/მ „ინგა სეხნიაშვილი–გოშაძე" (შემდგომში "მომწოდებელი") შორის და მოხდა შეთანხმება შემდეგზე:

I ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონლის მიწოდება. „მომწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „დამკვეთს" მის მიერ შერჩეული საქონელი და თვალსაჩინოებები შეთანხმებული გრაფიკით.

შესყიდვის ღირებულებაა 200 ლარი.

II უფლება - მოვალეობები

„მომწოდებული" ვალდებულია უზრუნველყოს მისაწოდებული საქონლის ხარისხი რაოდენობა და მიწოდების ვადები. იგი ვალდებულია უზრუნველყოს წუნდებული პროდუქციის შეცვლა .

„დამკვეთი " იღებს ვალდებულებას აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება არაუგვიანეს მეორე დღისა.

III ანგარიშსწორების წესი

პროდუქციის მიღება დასტურდება საქართველოში არსებულ საანგარიშსწორებო დოკუმენტზე „მომწოდებლისა " და „ დამკვეთის " ხელმოწერით .
ანგარიშსწორების წესი – უნაღდო;
ანგარიშსწორება – ლარებში.

IV უფლებების გადაცემა

„მომწოდებელს "არა აქვს უფლება „დამკვეთის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება - მოვალეობები .

V ხელშეკრულების შესრულების შეფასება

თუ ხელშეკრულების შეფასების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება ,ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის ,მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. მიმდებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.

VI ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

VII ხელშეკრულების შეწყვეტა

დამკვეთს '' შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება „ მომწოდებლისათვის'' ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.

VIII სადავო საკითხების გადაწყვეტა

„დამკვეთი'' და „ მომწოდებელი '' პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში აგვარებენ ყველა უთანხმოებას და დავას ,თუ წარმოიქმნება მათ შორის . თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „დამკვეთი '' და „მომწოდებელი '' ვერ შესძლებენ სადავო საკითხის გადაწყვეტას , დავის გადასაჭრელად შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

IX სხვა პირობები

ხელშეკრულება ძალაში შედის დღიდან ხელმოწერისა და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე. იგი შედგენილია ორ ცალად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა

„დამკვეთი''	„მომწოდებელი''
დირექტორი	დირექტორი
ხათუნა ჯალაღონია	
თბილისის სსიპ N202-ე საჯარო სკოლა	ი/მ „ინგა სეხნიაშვილი–გოშაძე"
თბილისი, გუთნის ქ.№6	თბილისი, ერისთავის N5 მაღაზია N16
საიდენტიფიკაციო N206091398	**საიდენტიფიკაციო N 01013066479**
ანგარიში GE64TB1100000340800008	ანგარიში GE29BG0000000469867900
სს „თიბისი ბანკის'' მარჯანიშვილის ფილ.	სს „საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი TBCBGE22	ბანკის კოდი 220101502